ხელშეკრულება N8-20
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
(გამარტივებული შესყიდვა)

თბილისი **19.06.2019 წ.**

ერთი მხრივ **სსიპ „ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნული ცენტრი“,** შემდგომში-შემსყიდველი, წარმოდგენილი ცენტრის უფროსის **გიგა გაბელაიას** სახით და მეორე მხრივ **შპს „ლიტერა+“** წარმოდგენილი მისი დირექტორის **ლიანა კოპალიანის** სახით შემდგომში - მიმწოდებელი, ორივე ერთად წოდებული როგორც „მხარეები“, ვმოქმედებთ, რა საქართველოს კანონმდებლობის, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ამავე კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]“ქვეპუნქტისა და შემსყიდველი ორგანიზაციის ადამიანური რესურსების მართვისა და საქმის წარმოების სამსახურის უფროსის ასმათ ჯელიას 2019 წლის 16 მაისის **N560-07** მოხსენებითი ბარათის საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას:

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 „ხელშეკრულება" _ შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2 „ხელშეკრულების ღირებულება“ _ საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3 „დღე“, „კვირა“, „თვე“ _ კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4 „შემსყიდველი“ – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5 „მიმწოდებელი“ – პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურების გაწევას ამ ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6 „მომსახურება“ - წინამდებარე ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 წინამდებარე ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს მთარგმნელობითი მომსახურების (**CPV 79530000**) შესყიდვა - შემდგომში მომსახურება.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს **234.00 (ორასოცდათოთხმეტი)** ლარს.

3.2. ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული მომსახურების ერთეულის ღირებულებები განსაზღვრულია წინამდებარე ხელშეკრულების დანართი N1-ით.

3.3. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს, როგორც გასაწევი მომსახურების ღირებულებას, ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

4. მხარეთა ვალდებულებები

4.1 **მიმწოდებელი** ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს წინამდებარე ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული მომსახურების გაწევა ხელშეკრულების გაფორმებიდან 2019 წლის 24 ივნისის ჩათვლით.

ბ) მომსახურების გაწევის პროცესში იხელმძღვანელოს ამ ხელშეკრულების მე-5 მუხლის 5.1. პუნქტით გათვალისწინებული პირობებით;

გ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები;

4.2 **შემსყიდველი** ვალდებულია:

ა) შეუფერხებლად აუნაზღაუროს მიმწოდებელს გაწეული მომსახურების ღირებულება ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების შესაბამისად;

ბ) უზრუნველყოს ხელშეკრულების შესრულების კონტროლი;

გ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

5. ხარისხი

5.1. ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული მომსახურება უნდა შეესაბამებოდეს მსგავსი მომსახურებისათვის უკვე არსებულ სტანდარტებსა და შემსყიდველი ორგანიზაციის მოთხოვნებს.

5.2. აღნიშნული ნორმიდან ნებისმიერი გადახვევის შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია არ მიიღოს გაწეული მომსახურება ან/და მიმწოდებლის მიმართ გამოიყენოს ამ ხელშეკრულებითა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის ზომები.

6. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

6.1. შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების შესრულების კონტროლი განხორციელდება პერიოდულად, როგორც მომსახურების გაწევის დროს, ისე ამ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში.

6.2. ინსპექტირებას განახორციელებს სსიპ „ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნული ცენტრის“ პროგრამების მართვის დეპარტამენტის პროგრამების მართვის სამსახურის მთავარი კოორდინატორი ბადრი პატარაია და პროგრამების მართვის დეპარტამენტის პროგრამების მართვის სამსახურის უფროსი კოორდინატორი ნინო მიხანაშვილი.

6.3. შემსყიდველის შესაბამისი წარმომადგენელი (წარმომადგენლები, მოწვეული ექსპერტი) უფლებამოსილია ჩაატაროს ხარისხის კონტროლი და თუ აღმოჩნდება წუნდებული მომსახურება, მიმწოდებელი ვალდებულია წერილობითი შეტყობინებიდან 10 (ათი) დღეში გამოასწოროს წუნი ან თუ წუნის გამოსწორება შეუძლებელია და შემსყიდველს უკვე გადახდილი აქვს გაწეული მომსახურების ღირებულება დაუბრუნოს შემსყიდველს აღნიშნული მომსახურების ღირებულება.

6.4. თუ ამ მუხლის 6.3. პუნქტით გათვალისწინებული წუნის გამოსწორების ვადა სცილდება ხელშეკრულების მოქმედების ვადას, მიმწოდებლის მიერ წუნის გამოსწორება, ხოლო წუნის გამოსწორების შეუძლებლობის შემთხვევაში თანხის დაბრუნება უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლამდე.

7. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

7.1. გაწეული მომსახურების მიღება წარმოებს მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების გზით. მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება წერილობითი ფორმით, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

7.2. იმ შემთხვევაში, თუ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების დღე ემთხვევა არასამუშაო დღეს, მაშინ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება შესაძლებელია განხორციელდეს მომდევნო სამუშაო დღეს, რაც არ ჩაითვლება მიმწოდებლის მხრიდან ვადის გადაცილებად.

7.3. გაწეული მომსახურების მიღებას აწარმოებს: სსიპ „ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნული ცენტრის“ პროგრამების მართვის დეპარტამენტის პროგრამების მართვის სამსახურის მთავარი კოორდინატორი ბადრი პატარაია ან/და პროგრამების მართვის დეპარტამენტის პროგრამების მართვის სამსახურის უფროსი კოორდინატორი ნინო მიხანაშვილი და ადამიანური რესურსების მართვისა და საქმის წარმოების სამსახურის უფროსი ასმათ ჯელია.

8. ანგარიშსწორება

8.1. ანგარიშსწორება განხორციელდება შემდეგი პირობებით:

ა) ანგარიშსწორების ვალუტა _ ლარი;

ბ) ანგარიშსწორების ფორმა _ უნაღდო, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად.

8.2. შემსყიდველი იღებს ვალდებულებას გადაუხადოს მიმწოდებელს გაწეული მომსახურებების ღირებულება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში. თუ

ანგარიშსწორების განხორციელების ვადის ბოლო დღე ემთხვევა არასამუშაო დღეს, მაშინ ანგარიშსწორება განხორციელდება მომდევნო სამუშაო დღეს.

9. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

9.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ, რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

9.2. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით, ხელშეკრულების მე-11 მუხლის შესაბამისად.

10. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

10.1 წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისთვის მიმწოდებელს ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების მთლიანი ღირებულების 1%-ის ოდენობით.

10.2 ხელშეკრულების არაჯეროვანი შესრულებისთვის, მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო სახელშეკრულებო ღირებულების 0.8%-ის ოდენობით, შემსყიდველი ორგანიზაციის შესაბამისი თანამშრომელის (კვების ექსპერტი) წერილობითი შეტყობინების საფუძველზე.

10.3 წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისთვის შემსყიდველს ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების მთლიანი ღირებულების 0.02 %-ის ოდენობით.

10.4 იმ შემთხვევაში, თუ ვადაგადაცილებული დღეების რაოდენობა აღემატება 10 დღეს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება და მიმწოდებელს დააკისროს პირგასამტეხლო ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 5%-ის ოდენობით.

10.5პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

11.1. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება უნდა გაფორმდეს წერილობით ხელშეკრულების ცვლილების სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

11.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

11.3. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად შემსყიდველი ორგანიზაციისათვის იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

11.4. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში დაუშვებელია თავდაპირველად დადებული ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

12. დავების გადაწყვეტა

12.1. ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წარმოქმნილი უთანხმოება წყდება მოლაპარაკების გზით.

12.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 5 (ხუთი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

13. ხელშეკრულების შეწყვეტა

13.1 შემსყიდველი უფლებამოსილია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება, თუ მიმწოდებელი ვერ უზრუნველყოფს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებას, ან/და მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.

13.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებ(ებ)ის დარღვევის ან/და ხელშეკრულების პირობების არაჯეროვნად შესრულების გამო, მიმწოდებლისთვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების საერთო ღირებულების 3%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს, ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

13.3 ხელშეკრულება შესაძლებელია შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

13.4 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს ხელშეკრულებით განსაზღვრული სხვა ვალდებულებების შესრულებისგან.

14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

14.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2019 წლის 29 ივლისის ჩათვლით.

15. ფორს-მაჟორი

15.1. წინამდებარე ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული მდგომარეობით.

15.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი შემსყიდველის ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

15.3. მხარემ, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს შექმნილი გარემოების და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან.

16. სხვა პირობები

ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად, ქართულ ენაზე, აქედან ერთი ეგზემპლარი გადაეცემა მიმწოდებელს, ხოლო ერთი შემსყიდველს.

17. მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი	მიმწოდებელი:
სსიპ „ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნული ცენტრი“ მის: თბილისი, ვაჟა-ფშაველას 76ᵇ ტელ: 2305175; ს/კ: 204935712 სახაზინო რეკვიზიტები: კოდი: №220101222 ა.ა: №200122900 ცენტრის უფროსი გიგა გაბელაია_____	შპს „ლიტერა+“ ს/კ 405137338; მის. ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას N47; ტელ. 597 370270; ელ. ფოსტა: pluslitera@gmail.com; საბანკო რეკვიზიტები: სს „თიბისი ბანკი“ ბანკის კოდი: TBCBGE22; ანგ. N GE34TB7043 9360 8010 0003; დირექტორი ლიანა კოპალიანი_____

დანართიN1

N	შესრულებული სამუშაოს დასახელება	ღირებულება (გვერდის)	გვერდების საერთო რაოდენობა	ჯამი (ლარი)
1	საიტის მასალის თარგმანი (ქართული-ინგლისური)	12.00	19.50	234.00
სულ ასანაზღაურებელია				234.00